ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ახორციელებს სხელფასოვან დამოუკიდებელ საექსპერტო მომსახურებას:

- ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- ბალისტიკური, ტახსოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- სატახანსპორტო ტექნიკურ-ტახსოლოგიური ექსპერტიზა;
- ხადიაციული და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა; სასაქონლო ექსპერტიზა;
- ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა;
- საინჟინრო ექსპერტიზა;
- ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა;
- ტყვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;
- ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა, მცენარეთა ექსპერტიზა;
- სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირებისა და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური);
- ისტორიული ექსპერტიზა;
- ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სეროლოგიური
- ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული);
- კომპიუტერული ექსპერტიზა.

ლაბორატორიებში დასაქმებულია გამოცდილი და კვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საექსპერტო კვლევების მაღალ ხარისხს და ბიუროს სახელით სასამართლო პროცესებზე თავად იცავენ გაკეთული დასკვნების ჭეშმარიტებას. ბიუროში დანერგილი ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს დამკვეთების მოთხოვნათა მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებას და კიდევ უფრო აძლიერებს ბიუროს ავტორიტეტს მომხმარებელთა შორის.

ექსპერტთა მაღალი პროფესიონალიზმი და ობიექტურობა ჩვენში სიმართლის გრძნობას იწვევს. ჩვენ ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნა და დავიმსახუროთ მათი პატივისცემა და ნდობა.

WWW.EXSPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5001314122
07/03/2022

5001314122

"ქართული ფილმის განვითარების ფონდი"-ს
დირექტორს ბატო იოსებ ბაღათურიას

(თბილისი, აღმაშენებლის 164)

ბატონო იოსებ,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2022 წლის 7 თებერვლის რეგისტრაციის N1000763322) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N001315722 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 13 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5001314122

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____ (ხელმოწერა) ბ.ა

თარიღი 07.03.2022 წ.



001315722

ექსპერტის დასკვნა № 001315722

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: ქართული ფილმის განვითარების ფონდი

თანამდებობა: ფონდის დირექტორი

მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის 164

სახელი და გვარი: იოსებ ბაღათურია

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ავთანდილ რომელაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 34 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდი წარმოადგენს თბილისში, აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე უძრავი ქონების ს.კ. 01.13.07.024.026 მესაკუთრეს.

გთხოვთ, ჩაგვიტაროთ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა და დაგვიდგინოთ 01.13.07.024.026 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე მოცემული შენობა-ნაგებობების #07/1 და #47/1 მდგრადობა.

შემოსვლის თარიღი: 07/02/2022 წ

გასვლის თარიღი: 07/03/2022 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ #164-ში (ს/კ 01.13.08.001.074) მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებული, საკადასტრო გეგმის მიხედვით #07/1 და 47/1 შენობების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. აღნიშნული შენობების აღდგენა-გაძლიერება, რენტაბელობიდან გამომდინარე არამიზანშეწონილია და რეკომენდირებულია მათი დემონტაჟი.

ავთანდილ რომელაშვილი

გამოკვლევა

2022 წლის 01 მარტს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ #164-ში (ს/კ 01.13.08.001.074)

001315722

ექსპერტის დასკვნა № 001315722

მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებული, საკადასტრო გეგმის მიხედვით #07/1 და #47/1 შენობების ტექნიკური მდგომარეობა.

ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზ #164-ში მდებარე, საკადასტრო გეგმის მიხედვით #07/1 ერთსართულიანი, ფარდულის ტიპის შენობა სავარაუდოთ აგებულია გასული საუკუნის 40-50-იან წლებში და განთავსებულია სწორ რელიეფზე. შენობა გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით, დაახლოებით 18,0X10,0 მ და გადაწყვეტილია გარე მზიდი კედლების ვარიანტში, ხოლო შიდა სივრცის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს ხის მორების მზიდი კარკასი. გარე კედლები სისქით 20,0-40,0-50,0 სმ-ია და ამოყვანილია ბეტონის წვრილი ბლოკებით, აგურით და ნათალი ქვით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. სართულის სიმაღლე საშუალოდ 2,8 მ-ია. სახურავი ორქანობიანია და მოწყობილია თუნუქის ბურულით ხის მორებზე. გადახურვის დონეზე შენობას არ გააჩნია რკინაბეტონის ანტისეისმური სარტყელი (ფოტო 1).

დღევანდელი მდგომარეობით, ფასადზე წარმოქმნილია ვერტიკალური ბზარი, რომელიც შევსებულია ქაფით. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მასალით ამოყვანილ კედლის მონაკვეთებს არ გააჩნიათ ურთიერთგადაბმა. ფასადის კედლზე აშრევებულია და ჩამოშლილია ბათქაშის ფენა. შენობის შიგა სივრცეში, უკანა გრძივ კედელზე, რომელიც ამოყვანილია ნათალი ქვით და ბეტონის წვრილი ბლოკებით, რამდენიმე მონაკვეთზე წარმოქმნილია დახრილი ბზარები, კედლის წყობის ხსნარი გამოტუტულია და გამოცვენილია წყობიდან (ფოტო 2). კედლებიდან ჩამოცვენილია ბათქაში. ჭერზე, მრავალ ადგილზე შეინიშნება ატმოსფერული ნალექების ჩამოდინების კვალი. ხის იატაკი და ხის კარკასის მზიდი ელემენტები დაზიანებულია მპალით და ხის კოჭები ჩამოღუნულია (ფოტო 3, 4, 5, 6). განივ კედლებს შორის მანძილი აღემატება სეისმური ნორმებით დასაშვებ 9,0 მ-ს. შენობა ტექნიკურად მოუვლელია და გააჩნია მნიშვნელოვანი ასაკობრივი ცვეთა.

ამრიგად, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ #164-ში (ს/კ 01.13.08.001.074) მდებარე, საკადასტრო გეგმის მიხედვით #07/1 შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. შენობის აღდგენა-გაძლიერება, რენტაბელობიდან გამომდინარე არამიზანშეწონილია და რეკომენდირებულია მისი დემონტაჟი.

ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზ #164-ში მდებარე, საკადასტრო გეგმის მიხედვით #47/1 ერთსართულიანი შენობა სავარაუდოთ აგებულია გასული საუკუნის 50-60-იან წლებში და განთავსებულია სწორ რელიეფზე. შენობა გეგმაში „Г“-ს ფორმისაა, და შედგება ორი ნაკვეთურისაგან გაბარიტული ზომებით, დაახლოებით 18,0X6,0, და 16,0X9,0 მ და გადაწყვეტილია მზიდი კედლების ვარიანტში. კედლები სისქით 30,0-40,0 სმ-ია და ამოყვანილია, ერთი ნაკვეთური მონოლითური ბეტონით, ხოლო მეორე - ბეტონის წვრილი ბლოკებით, აგურით და ნათალი ქვით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. სართულის სიმაღლე საშუალოდ 2,8 მ-ია. სახურავი ერთ და ორქანობიანია და მოწყობილია თუნუქის ბურულით ხის კოჭებზე. გადახურვის დონეზე შენობას არ გააჩნია რკინაბეტონის ანტისეისმური სარტყელი (ფოტო 8, 9, 10).

დღევანდელი მდგომარეობით პირველ ნაკვეთურზე, ფასადისა და ტორსული კედლის კვეთაზე წარმოქმნილია ვერტიკალური ბზარი (ფოტო 11). ფასადის კედელზე განვითარებულია დახრილი ბზარები (ფოტო 12). შენობის შიგა სივრცეში, უკანა გრძივ კედელზე ასევე წარმოქმნილია დახრილი და ჰორიზონტალური ბზარები (ფოტო 13). ცალკეულ მონაკვეთებზე აშრევებულია და ჩამოშლილია ბათქაშის ფენა, ბეტონი ეროზირებულია და მექანიკური ზემოქმედებით იშლება (ფოტო 14, 15). მეორე ნაკვეთურის ტორსული წვეტურა კედელი დანგრეულია, იმავე მონაკვეთში, შენობის შიგა სივრცეში ჩამონგრეულია სახურავი და ხის სასხვენო გადახურვა (ფოტო 16, 17). ფასადის კედელზე განვითარებულია დახრილი და ჰორიზონტალური ბზარები, ფასადიდან მარჯვნივ მდებარე ტორსულ კედელზე ასევე შეინიშნება დახრილი ბზარები (ფოტო 18, 19). ცალკეულ მონაკვეთებზე ზეძირკვლის დონეზე კედლის წყობა ჩამოშლილია (ფოტო 20). განივ კედლებს შორის მანძილი აღემატება სეისმური ნორმებით დასაშვებ 9,0 მ-ს. შენობა ტექნიკურად მოუვლელია და გააჩნია მნიშვნელოვანი ასაკობრივი ცვეთა.

ამრიგად, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ #164-ში (ს/კ 01.13.08.001.074) მდებარე, საკადასტრო გეგმის მიხედვით #47/1 შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. შენობის აღდგენა-გაძლიერება, რენტაბელობიდან გამომდინარე არამიზანშეწონილია და რეკომენდირებულია მისი დემონტაჟი.

ავთანდილ რომელაშვილი

გამოყენებული მასალები

001315722

ექსპერტის დასკვნა № 001315722

1. СП-13-102-2003

2. სნწ პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" პნ. 01.01-09

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია


001315722

ექსპერტის დასკვნა № 001315722

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4




ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10




ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პარტნიორი ორგანიზაციები:

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წლების მანძილზე ატარებს თანამშრომლობას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით ლაბორატორიას ჩაუტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სისხლის ლაბორატორია სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილი იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სმი:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების სერტიფიკაციის ტესტირებაში.

ჰოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაარსდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტთათვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების სფეროში.

თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითარონ ურთიერთობები სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, განახორციელონ ინფორმაციის, იდეებისა და კადრების გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, ლაქ საღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს ხელების თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს ხარისხიანი მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.